ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 21 ივნისი, 1942 წ. № 145 (6461). ფასი 15 კაპ.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების რატიფიკაცია

18 ივნისის დღე ღირსშესანიშნავ თარიღად ჩაიწერება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში, ჰიტლერელ მოძალადეთა, მძარცველთა და ყაჩაღთა წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლის ისტორიაში. ამ დღეს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც შეიკრიბა კრემლის დიდ სასახლეში, თავის სხდომათა დარბაზში, მოიწონა მთავრობის საგარეო პოლიტიკა და მოახდინა ინგლის-საბჭოთა კავშირის ...

... ნემდე, მურმანსკის იმიერპოლარეთიდან შავი ზღვის სუბტროპიკებამდე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა. ჩვენს ქვეყანაზე ჰიტლერული გერმანიის დანაშაულებრივი, ვერაგული თავდასხმის წლისთავის რამდენიმე დღით ადრე. სამამულო ომის განვლილი წელი იყო არა მარტო საბჭოთა ადამიანების ისეთი გმირობის წელი, როგორიც ისტორიას არ ახსოვს, არამედ ...

[illegible]

... იქნება აღგვილი ჩვენი მიწა-წყლიდან, ჩვენ მამა-პაპათა მიწა-წყლიდან.

ამას ამბობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინისა და ბელორუსიის, საქართველოს და ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, უზბეკეთისა და ურალის დეპუტატები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომამ მთელს მსოფლიოს დაანახვა ურღვევი ერთიანობა საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახისა, რომლის სივრცეები გადაჭიმულია ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეა...

... ნამ 109,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნახევარი წლის პროგრამას 22 ივნისისათვის შეასრულებს.

მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე, ურყევი რწმენა გამოსთქვა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა, როდესაც სთქვა: „ჩვენი ძალები მტკიცდება, ჩვენი რწმენა გამარჯვებისადმი ძლიერია ისე, როგორც არასოდეს არ ყოფილა".

„პრავდის" მოწინავე, 20/VI.

თბილისი

„ზარია ვოსტოკას" რედაქციას

„ზარია ვოსტოკას"—საქართველოს ბოლშევიკების ორგანოს—20 წლისთავი მნიშვნელოვანი თარიღია. გენიალური ფუძემდებლების ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი პარტიის ამ ერთ-ერთმა უძველესმა ორგანომ ამიერ-კავკასიის მშრომელებთან ერთად განვლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ორი ათეული წლის ძნელი და ამასთან ერთად სასიხარულო გზა, უშუქებდა მათ ბრძოლის ასპარეზს, ანათლებდა მათ ლენინიზმის დიადი მოძღვრებით.

ამ მუშაობის ჯილდოს წარმოადგენენ ჭეშმარიტად დიადი შემოქმედებითი წარმატებანი ცხოვრების ყველა დარგში. და, შეიძლება ითქვას, ამ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის უდიდეს წარმატებას წარმოადგენს შექმნა ხალხთა იმ კავშირისა, რომელიც განსაცვიფრებელია თავისი ძლიერებითა და სილამაზით, განმტკიცება სსრ კავშირის ხალხთა იმ შესანიშნავი მეგობრობისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენი სახელმწიფოს რწმენას, რომ კაცობრიობის უბოროტესი მტერი—ჰიტლერული გერმანია განადგურებული იქნება.

„ზარია ვოსტოკამ" ცოტა შრომა კი არ გასწია ხალხთა ამ მეგობრობის გასაძლიერებლად, საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის ხალხებში ჩვენი საერთო სამშობლოს სადმი სიყვარულის დასანერგავად, მის დასაცავად ისე, როგორც შეეფერება იმ დიდ ხალხს, რომელმაც მისცა კაცობრიობას გენიალური ხელმძღვანელი, ნოვატორი-მეცნიერი, ორგანიზატორი, ხუროთმოძღვარი და მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი.

„ზარია ვოსტოკას" 20 წლისთავის დღეს მივესალმები რედაქციას, თანამშრომლებსა და მკითხველებს, მხურვალე ბოლშევიკურ სალამს ვუძღვნი საქართველოს ყველა მშრომელთ, დარწმუნებული ვარ, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც წითელი არმია გაანადგურებს ფაშისტ ქვეწარმავლებს, და გმირი მებრძოლები სახელმოხვეჭილნი დაგვიბრუნდებიან. და ჩვენ შევძლებთ კვლავ მოვეხმაროთ მთელი ძალ-ღონე მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყნის მშენებლობას.

ემ. იაროსლავსკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა

დეპუტატ ა. ა. ჟდანოვის სიტყვა

(ლენინგრადი)

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან. ამხ. ჟდანოვს ოვაციას უმართავენ).

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული ხელშეკრულება ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც ჩვენმა მთავრობამ უმაღლეს საბჭოს წარმოუდგინა სარატიფიკაციოდ, და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. მოლოტოვის ნაყოფიერი მოლაპარაკება ლონდონსა და ვაშინგტონში კაცობრიობის მოსისხლე მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ეტაპს მოასწავებენ. ეს ხელშეკრულება შეესაბამება იმ თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხთა საარსებო ინტერესებს, რომელნიც ბრძოლას ეწევიან ჰიტლერის იმპერიალიზმთან, ამ ხელშეკრულებამ უნდა დააჩქაროს მტრის განადგურება.

ხელშეკრულების მნიშვნელობას განსაკუთრებით განამტკიცებს ის გარემოება, რომ ლონდონსა და ვაშინგ- ...

მიტინგებზე ლენინგრადის მუშები, ინჟინრები, ინტელიგენცია ხაზგასმით აღნიშნავდნენ საბჭოთა მთავრობის იმ საგარეო პოლიტიკის, სტალინური პოლიტიკის სისწორესა და სიბრძნეს,



[illegible]

როდესაც შარშან სექტემბერში ჩავფუშეთ ჰიტლერის გეგმა—იერიშით აეღო ქალაქი—და ლენინგრადთან წარმოებულ გაფთრებულ ბრძოლებში სამარე ჰპოვა ფაშისტთა ბევრმა კადრის საუკეთესო დივიზიამ, ვერაგმა მტერმა განიზრახა დამამშევი ბლოკადით, ჰაერიდან დაბომბვით და არტილერიის სროლით გაეტეხა ლენინგრადელთა წინააღმდეგობა. ქალაქი 10 თვეა მტრის ბლოკადის ვითარებაში იმყოფება, ...

[illegible]

ნიათ ასეთი [illegible] ასეთი ბოლშევიკური [illegible] წიონ უაღრესად [illegible] და შეასრულონ თავიანთი ამოცანა, რადაც უნდა დაუჯდეთ, როგორც ეს იყო წარსული ზამთრის უაღრესად მრისხანე თვეებში, ბლოკადის პირობებში.

ლენინგრადის მრეწველობა აძლევდა და ახლაც აძლევს ფრონტს ტანკებს, ზარბაზნებს, ნაღმსატყორცნებს, ავტომატურ იარაღს, ყუმბარებს, ნაღმებს, გრანატებსა და მრავალ სხვა რამეს. (ტაში).

[illegible]

... 3 ივლისს, რომ „წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოდნენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა იჩენდნენ ჩვენი ხალხის დამახასიათებელ გამბედაობას, ინიციატივასა და გამჭრიახობას", — ლენინგრადელთა გზის მანათობელი ვარსკვლავი გახდა, ამ სიტყვებმა აღაფრთოვანა ისინი ბრძოლისა და მუშაობისათვის, გაამხნევა, ჩაუნერგა მათ თავიანთი ძალის ურყევი რწმენა.

... მსვლელობაში წამოიჭრებოდა ხოლმე. ფრონტისადმი დახმარების გადაუდებელი ამოცანების გადასაჭრელად გაცხოველებით ამუშავდა ლენინგრადის მრეწველობის მუშაკთა ინიციატივა. უმნიშვნელოვანეს სამხედრო საწარმოთა მუშაობა იმ დღეებშიც კი არ შეწყვეტილა, როდესაც ლენინგრადის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო—არა გვყოფნიდა სათბობი და ელექტროენერგია, ხოლო საკვების ნაკლებობა ძალას აცლიდა ხალხს.

ლენინგრადის მრეწველობას, იმის კადრებს ჯერ არასოდეს არ გამოუჩე- ...

... ლებისმოყვარე ხალხთა უფრო და უფრო ზრდადი ღონისძიებანი და ჩვენი საკუთარი ძალების ზრდა ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვების დღეს აახლოებს. საბჭოთა კავშირის ხალხები ჩვენი ბელადისა და დიდი მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შეასრულებენ მის ბრძანებას და გაანადგურებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს 1942 წელს. (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში ოვაცია იმართება).

დეპუტატ ა. ს. შჩერბაკოვის სიტყვა

(მოსკოვი)

... ნდა, რომელმაც გერმანელებისაგან მოითხოვა ისეთი დაძაბვა, რის გაძლებაც მათ არ ძალუძთ. ჰიტლერული გერმანია სისხლისაგან იცლება და კატასტროფისაკენ მიდის.

[illegible]

... განმტკიცდა. დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვიურად ადიდებენ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას საბჭოთა კავშირისადმი. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბრიტანეთის ავიაციისა და ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტების დარტყ- ...

[illegible]

... ფრონტზე იარაღით იცავს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და ღირსებას. მოსკოვის მუშები ფაბრიკებსა და ქარხნებში არავითარ სიძნელეს არ ერიდებიან და დღედაღამ სჭედავენ საყვარელი წითელი არმიისათვის უაღრესად მრავალფეროვან და სრულყოფილ იარაღს.

[illegible]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
20 ივნისის დილის ცნობა

19 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა გერმანელთა ქვეითი ჯარის რამდენიმე იერიში მოიგერია. ორი დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა სამი ტანკი, 3 ქვემეხი და რამდენიმე ნაღმსატყორცნი. მტერმა 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით.

• • •

№ ნაწილის არტილერისტებმა (ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი) ცეცხლით თავდასხმა მოაწყეს მტრის სათავდაცვო პუნქტზე. ჩვენი ქვემეხების ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 3 მიწური საცეცხლე წერტი, მოსპობილია 1 მძიმე ქვემეხი, აფეთქებულია საწყობი საომარ მასალიანად.

• • •

ამხ. ფილატოვის მეთაურობით მოქმედი ნაწილის მფრინავები რამდენჯერმე დაესხნენ თავს გერმანელთა თავმოყრილ ჯარებს და მტრის სათავდაცვო სიმაგრეებს. ბომბებით მოსპობილია გერმანელთა 7 მიწური საცეცხლე წერტი, 3 საველე ქვემეხი, 17 ავტომანქანა, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

3½ თვის განმავლობაში ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ამხ. ლუშნიკოვის მეთაურობით მოქმედი ქვეგანაყოფის სნაიპერებმა 800-ზე მეტი ჰიტლერელი დახოცეს. ამ ქვეგანაყოფის სნაიპერმა ამხ. სემიონოვმა 165 ჰიტლერელი მოჰკლა, ამხ. იაკოვლევმა — 94 და ამხ. სოლოვიოვმა — მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

იმ ნაწილის მებრძოლებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ვოლკოვი, თოფითა და ტყვიამფრქვევით ჩამოაგდეს მტრის ორმოტორიანი ბომბდამშენი. ორი გერმანელი მფრინავი წამოყვანილია ტყვედ.

• • •

პარტიზანულმა რაზმმა ამხ. კ-ს მეთაურობით, რომელიც უკრაინის გერმანელების მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, ააფეთქა მტრის სარკინიგზო ეშელონი საომარ მასალიანად. გზაზე 3 დღით შეწყდა მიმოსვლა.

• • •

გერმანელთა 602-ე სატრანსპორტო ბატალიონის ტყვედ წამოყვანილმა ეფრეიტორმა ვილი შულცმა განაცხადა: „ჩვენს ბატალიონს სამხედრო ტვირთი გადმოჰქონდა გერმანიიდან ფრონტისპირა ქალაქებში. უკანასკნელი რეისი დიდი მარცხით დამთავრდა. პუნქტ კ-სთან რუსების ნაწილები შემოგვეჭრნენ. კოლონაში საშინელი პანიკა ასტყდა. ზოგიერთმა შოფერმა თავისი მანქანა მიატოვა და გაიქცა. ზოგი კი ცდილობდა სატვირთო მანქანით გაქცეულიყო. მანქანების ერთი ნაწილი ტალახში ჩაეფლო და გზა გადაულობა დანარჩენებს. გზა გაიხერგა. ჩვენ ძალიან დიდი ზარალი მოგვივიდა. ოკუპირებულ რაიონებში გზებზე პარტიზანების მიერ აფეთქებული და განადგურებული მრავალი მანქანა ვნახე. ამას წინათ სარდლობამ ბრძანება გასცა, რომლითაც წინადადებას იძლევა ადგილზევე დახვრიტონ ყველა რუსი, რომელსაც ტრაქტზე შეხვდებიან ან ტრაქტის მახლობლად აღმოაჩენენ".

• • •

ტყვედ წამოყვანილ გერმანელ ეფრეიტორ ჰანს ოვეს უპოვნეს დედის წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ჰამბურგიდან. მოგვყავს წერილების რამდენიმე ნაწყვეტი: „...ჰაინც გერბერი დღეს უნდა გამოცხადდეს, იგი 17 წლისაა... ვილის ამ თვეში შეუსრულდება 17 წელი. მალე ისიც ჯარისკაცი გახდება... გუშინ საღამოს 11 საათიდან ღამის 3 საათამდე საჰაერო განგაში იყო. სახიზნარში სინათლე ჩაქრა... ლიუბეკის სამი მეოთხედი მიწასთან არის გასწორებული... როსტოკს სამ ღამეს ბომბავდნენ ზედიზედ. ახლა იგი ისე დაცარიელდა, როგორც ლიუბეკი. ამის მსგავსი ჯერ არასოდეს არაფერი მომხდარა. ალბათ, დანგრეულია ჰაინკელის ქარხნებიც. ბევრია მოკლული. ნეტავი რა დღე მოგველის? ნუ თუ ჰამბურგსაც იგივე დღე დაადგება?".

• • •

ჰიტლერელმა ხელისუფლებმა ნორვეგიიდან გერმანიაში გაჰგზავნეს 800 გერმანელი ჟანდარმი, „რომელთა სულისკვეთებაზეც გავლენა მოახდინა ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტმა". მრავალი ჟანდარმი დაპატიმრებულია.

• • •

თურქმენეთის რესპუბლიკის მშრომელებმა ფრონტზე გაჰგზავნეს 34 ვაგონი საჩუქარი წითელარმიელების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის. ამანათებით მებრძოლთ გაეგზავნათ ძეხვეული, თაფლი, ჩირი, ღვინო, პაპიროსები, ხელის საპონი, საპაპიროსეები, ქისები, თერმოსები, პატეფონები და სხვა საჩუქრები.

20 ივნისის საღამოს ცნობა

20 ივნისის განმავლობაში ფრონტის სევასტოპოლის უბანზე გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა.

ხარკოვის მიმართულების ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ შემოტევ მოწინააღმდეგესთან.

ფრონტის სხვა უბნებზე სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და მზვერავთა მოქმედება.

• • •

19 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 10 საზიდარი საომარი მასალა, 7 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად, გაანადგურეს რკინიგზის შემადგენლობა, ჩაძირეს 2 მოტორიანი კაპანი და საბუქსირო კატერი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს მტრის 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ფრონტის სევასტოპოლის უბანზე დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს. სევასტოპოლის გმირი დამცველნი დღედაღამ იგერიებენ მტრის ჭარბი ძალების გააფთრებულ იერიშებს და მძიმე ზარალს აყენებენ მას. სანაპირო ბატარეამ, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი დმიტრიევი მეთაურობს, მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გასწყვიტა. შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთი ნაწილის ტანკსაწინააღმდეგო თოფების ასეულმა 3 დღეში მწყობრიდან გამოიყვანა გერმანელთა 23 ტანკი და გაჟლიტა 300-მდე ჰიტლერელი. წითელფლოტელმა ამხ. ტიმოხინმა თოფით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი. თავდადებით მოქმედებს საზღვაო ავიაცია. ჩვენმა მფრინავებმა ორ დღეში მოსპეს გერმანელთა 29 ტანკი, 12 ნაღმსატყორცნი ბატარეა, 60 ავტომანქანა და მტრის 1 ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი.

• • •

ბრიანსკის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მესანგრეებმა—ისაიჩევმა, სიტნიკოვმა, კირიაკოვმა, ვემაკოვმა, სერჟანტებმა — კონიაშკინმა და ხოხლოვმა აღმოაჩინეს და გააუვნებლეს მოწინააღმდეგის დანაღმული ველი. შექმნილ გასასვლელებში ჩვენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე. ბრძოლის შედეგად მტერმა 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა სახით. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 6 ტანკი, 4 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი, მრავალი ავტომატი და შაშხანა.

6-ნაწილის არტილერისტებმა (კალინინის ფრონტი) ღამით ჰაუბიცი გადაიტანეს გერმანელების მიერ დაკავებულ პუნქტ პ-საკენ. დილაადრიან მებრძოლებმა ცეცხლი დაუშინეს და დახოცეს 50-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 15 სატვირთო ავტომანქანა, ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად და ბენზინსაცავი. ყუმბარის პირდაპირი მოხვედრით დანგრეულია სახლი, რომელშიც მოთავსებული იყო გერმანელთა გარნიზონის შტაბი.

• • •

35 ჰიტლერელმა იერიში მიიტანა სანგარზე, სადაც იმყოფებოდა ათეულის მეთაური მარტინოვი რამდენიმე მებრძოლითურთ. მამაცმა მეთაურმა 20 ჰიტლერელი მოჰკლა და სროლას განაგრძობდა მანამდე, სანამ მას არ მიეშველნენ ქვეგანაყოფის მებრძოლნი.

• • •

ამხ. კოჟანოვის ქვეგანაყოფის სნაიპერებმა რამდენიმე დღეში 58 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს.

• • •

უკრაინელთა 4 პარტიზანული რაზმი ამხ. ს-ს საერთო მეთაურობით თავს დაესხა სოფელს, რომელშიც განლაგებული იყო გერმანელთა ჯარის ნაწილი. პარტიზანებმა მოჰკლეს 82 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი შტაბის ოფიცერი, რომლის გვამიც ჰიტლერელებმა სპეციალურად ჩამოსული თვითმფრინავით წაიღეს. მეორე დღეს ამხ. პ-ს პარტიზანულმა რაზმმა გერმანელთა ალალი გაანადგურა. პარტიზანებმა გასწყვიტეს 19 ოკუპანტი, მოსპეს 8 ავტომანქანა და რამდენიმე საზიდარი საომარი ტვირთი.

• • •

გერმანიის 23-ე პოლკის ტყვე ეფრეიტორმა ოტო რ-მ განაცხადა: „მე მონაწილეობა მივიღე პოლონეთისა და საფრანგეთის ლაშქრობაში. მაგრამ ნამდვილი ომი მხოლოდ რუსეთში ვნახე. განუწყვეტელმა ბრძოლებმა საბოლოოდ გამომაცალა ძალ-ღონე. მე უკვე ყველაფერს გულგრილად ვუყურებ და მხოლოდ ერთ რამეს ვფიქრობ: როდის მოეღება ბოლო ამ ჯოჯოხეთს? ჩემს სულიერ განწყობილებაზე გავლენა იქონია ჩემი სამი ძმის სამწუხარო ბედმაც. ძმა ბერტოლდი ჩემთან ერთად მსახურებდა პოლკში. ამ წლის აპრილში იგი მოჰკლეს. მეორე ძმა გუსტავი მძიმედ დაიჭრა და სამუდამოდ დაჰკარგა შრომის უნარი. მესამე ძმაც რუსეთის ფრონტზეა. რამდენიმე თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მიმიღია. მეტი ვეღარ ავიტანე. როცა ჩვენთან რუსების ტანკები შემოიჭრნენ. მე 5 ამხანაგთან ერთად ვიჯექი ბლინდაჟში. ტანკისტებმა ვე ა შეგვამჩნიეს; შეიძლებოდა დამალვასა და გაქცევას ვცდილიყავით, მაგრამ გადავწყვიტე აღარ დავბრუნებულიყავი ჩვენებთან, რადგან ბრძოლა აღარ შემიძლია. ჩვენ პირი შევკარით და ექვსნივე ტყვედ დავნებდით".

• • •

მეთაურთა და წითელარმიელთა ჯგუფმა შეადგინა აქტი ჰიტლერელი კაციჭამიების საშინელი დანაშაულის შესახებ. აქტში ნათქვამია, რომ მაღლობზე, რომელიც ბრძოლით დავიბრუნეთ გერმანელებისაგან, გერმანელ ფაშისტ მტარვალების მიერ მხეცურად ნაწამები წითელფლოტელის გვამი აღმოჩნდა. გვამს საშინელი წამების კვალი აჩნევია. მარცხენა წინამხარი ამომტვრეულია იდაყვის სახსრიდან, მოჭრილია ხელის თითები, დათხრილია თვალები, მკერდსა და გვერდებს დამწვრობის კვალი აჩნევია. აქტს ხელს აწერენ მეთაურები და წითელარმიელები — კალინინი, გიზუნტერმანი, კაზმინი, ქელიფონოვი, ხოდაზი და ვინოგრადოვი.

როგორ გავანადგურეთ გერმანელთა 60 ტანკი

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 20 ივნისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ფაშისტები იერიშისათვის ემზადებოდნენ. შედარებით პატარა უბანზე მათ თავი მოუყარეს მძიმე არტილერიას, ტანკებსა და ქვეით ჯარს. გერმანიის სარდლობა ავიაციის განუწყვეტელი თავდასხმებით ცდილობდა არევ-დარევა შეეტანა ნ—მსროლელი ნაწილის საბრძოლო წყობილებაში. ეს ნაწილი უკვე რამდენიმე დღეღამეს იცავდა მნიშვნელოვან ზღუდეს. მაგრამ გააფთრებულმა დაბომბვამ შესამჩნევი ზარალი ვერ მიაყენა კარგად დასანგრებულ მებრძოლებს.

განთიადზე გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო სროლა ასტეხეს. უფრო გვიან ჰაერში გამოჩნდა 40-მდე ბომბდამშენი. ისინი ჯგუფებად მოდიოდნენ და იწყეს თავისი ტვირთის ჩამოყრა ჩვენს პოზიციებზე. ამის შემდეგ გერმანელებმა ბრძოლაში გამოუშვეს 60 ტანკი.

— დავიხოცოთ, მაგრამ მტერი არ გამოვუშვათ, — გადასწყვიტეს მებრძოლებმა.

ისინი სანგრებში იწვნენ, მომარჯვებული ჰქონდათ ტანკსაწინააღმდეგო თოფები, გრანატები და საწვავი ნარევით სავსე ბოთლები. ტანკები ახლოვდებოდნენ. მტერს პირველებმა დაუშინეს პირდაპირი დამიზნებით კარგად შენიღბული პოზიციებიდან საარტილერიო ბატარეებმა. რამდენიმე ტანკს ცეცხლი გაუჩნდა. მაგრამ სხვები გვერდს უვლიდნენ მწყობრიდან გამოსულ მანქანებს და წინსვლას განაგრძობდნენ.

დადგა ქვეითების მოქმედების მომენტი. მტრის მანქანებს ერთბაშად დაატყდა თავს ათობით ჯავშანგამტანი ტყვია, გრანატები, საწვავი ნარევით სავსე ბოთლები. სნაიპერები სათვალთვალო ნახვრეტებში ურტყამდნენ. ცა ხშირი შავი კვამლის ღრუბელმა დაჰფარა.

ტანკების ერთი ნაწილი იწვოდა, სხვებმა სანგრების ხაზი გადასჭრეს. გადარჩენილ მანქანებს საწვავიანი ბოთლები და გრანატები დააყარეს. ჯავშანმტვრეველთა ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდა. ტყიდან მტრის ქვეითი ჯარი, მოტოციკლისტები და ველოსიპედისტები გამოჩნდნენ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაახვედრეს მათ. გერმანელები ჩაწვნენ. გერმანელთა შემოჭრილი მანქანების მცირე ჯგუფს ჩვენი ტანკისტები დაუხვდნენ. გაიმართა ბრძოლა. იგი მთელ დღეს გაგრძელდა. ჩვენი მანქანები მოძრაობის დროს და ადგილიდან ანადგურებდნენ ფაშისტთა ტექნიკას. საღამოს ბრძოლა დამთავრდა. მტერმა წინ ვერ წამოიწია ვერც ერთი მეტრით, ხოლო, რაც მთავარია, გერმანელთა ვერც ერთი ტანკი ვეღარ დაბრუნდა პირვანდელ პოზიციაზე: 60-ვე მანქანა მოსპობილ იქნა.

ბრძოლის სასახელო შედეგი ახალი გმირობისათვის აღაფრთოვანებს მებრძოლებს.

ზ. ლიპავსკი

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა მასობრივი ტირაჟით სცემს ბროშურას: ვ. მ. მოლოტოვი „ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულების რატიფიკაცია". ბროშურაში მოთავსებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხ. ვ. მ. მოლოტოვის 1942 წლის 18 ივნისის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ტექსტი ხელშეკრულებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, რომელიც დადებულია ქალ. ლონდონში 1942 წლის 26 მაისს. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო მთავრობის საგარეო პოლიტიკის მოწონებისა და ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. (საკდესი).

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ გაკეთებული მოხსენების გამო

ინგლისი

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). ინგლისის პრესა და რადიო ფართოდ აშუქებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომას და გაცხოველებით ეხმაურებიან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას. ლონდონის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდეს ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სადაც რატიფიცირებულ იქნა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, ყურადღებას იპყრობს ლონდონში იმით, რომ „მოლოტოვმა აღნიშნა ხელშეკრულების დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არა მარტო ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებისათვის, არამედ ევროპის საერთაშორისო ურთიერთობის მთელი ერთობლიობის შემდგომი განვითარებისთვისაც. მოლოტოვის მიერ გამოთქმული კმაყოფილება იმის გამო, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახალი ფაზა სტალინთან იდენის ნაყოფიერი მოლაპარაკების დროს დაიწყო, ასეთსავე გულწრფელ გრძნობას იწვევს ლონდონში".

„განსაკუთრებით გამამხნევებელ შთაბეჭდილებას სტოვებს,—განაგრძობს ინფორმაციის სამინისტრო,—მოლოტოვის განცხადება: მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავებმა და თვითმფრინავებმა სსრ კავშირისათვის განკუთვნილი მასალებით დატვირთული მთელი რიგი გემები ჩასძირეს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან სსრ კავშირისათვის საჭურვლისა და მასალების მიწოდება არამც თუ არ შეწყვეტილა, არამედ კიდეც გაძლიერდა ამ უკანასკნელ თვეებში".

დასასრულ ინფორმაციის სამინისტროს ცნობა აღნიშნავს, რომ „ვ. მ. მოლოტოვის განცხადება 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის საკითხზე სავსებით შეესაბამება ლონდონსა და ვაშინგტონში მიღწეულ შეთანხმებას".

ლონდონის რადიო დაწვრილებით გადასცემს ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსს და აღნიშნავს: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოხსენება გამოხატავს საბჭოთა ხალხის რწმენას, რომ ჰიტლერიზმი განადგურებული იქნება 1942 წელს. ლონდონის რადიო ურთდება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჰიტლერელები მალე იგრძნობენ თავიანთ ზურგზე სამი დიდი სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო ზრდადი სამხედრო თანამშრომლობის შედეგებს. „საბჭოთა ხალხთან ერთად,—აცხადებს ლონდონის რადიო,—ჩვენ ტაშით ვეგებებით მოლოტოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ სტალინის ბრძანება მიმდინარე წელს მტრის მოსპობის შესახებ შესრულებული იქნება".

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). ამერიკის პრესა დაწვრილებით ბეჭდავს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ 1942 წლის 18 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გაკეთებული მოხსენების შინაარსს. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მოხსენების შინაარსი პირველ გვერდზე დაბეჭდა დიდი სათაურით: „საბჭოთა კავშირმა მოახდინა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების რატიფიკაცია". ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი დაბეჭდეს აგრეთვე „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნმა", „დეილი ნიუსმა", „დეილი მირორმა" და ამერიკის სხვა გაზეთებმა.

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების ტექსტი დაბეჭდა სათაურით: „მოლოტოვმა განაცხადა, რომ მეორე ფრონტის გახსნა შორს არ არის, და აღნიშნა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, რომ ჰიტლერელები მალე იგრძნობენ თავიანთ ზურგზე სამი დიდი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის უფრო და უფრო ზრდადი სამხედრო თანამშრომლობის შედეგებს". გაზეთებმა „ბალტიმორ სენმა" და „პმ"-მ განსაკუთრებით გამოჰყვეს ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების ის ადგილები, რომლებშიც ლაპარაკია იმაზე, რომ მიღწეულია სრული თანხმობა 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელ ამოცანათა შესახებ.

ამერიკის რადიოც გაცხოველებით ეხმაურება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გაკეთებულ მოხსენებას.

ცნობილმა ამერიკელმა რადიოკომენტატორმა სტილმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია ჰიტლერიზმზე საბოლოო გამარჯვების რწმენის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

რადიოკომენტატორი ლიზა სერგიო აღნიშნავს, რომ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება, აგრეთვე ვაშინგტონს ჩერჩილის ჩამოსვლა მოწმობს მომავალ დიდმნიშვნელოვან ამბებს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპაში მეორე ფრონტის შექმნასთან.

ნიუ-იორკში ეწყობა „ომში რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის კვირეული"

ნიუ-იორკი, 19 ივნისი (საკდესი). ქალაქ ნიუ-იორკის მერმა ლა გარდიამ გამოაცხადა, რომ 20-დან 27 ივნისამდე ნიუ-იორკში ჩატარებული იქნება „ომში რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის კვირეული". „რუსი ხალხი, რომელმაც მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა თავისი გადამწყვეტი და შეუპოვარი ბრძოლით, აგრეთვე თავისი მამაცობითა და გულადობით, — სთქვა ლა გარდიამ,—ჩვენი გმირი მოკავშირეა აგრესიის წინააღმდეგ ამ ტიტანურ ბრძოლაში. რუსმა ხალხმა გააქარწყლა ლეგენდა სახელმწიფოთა უძლეველობის მითი". ლა გარდიამ მოუწოდა ნიუ-იორკის მოსახლეობას დიდ მებრძოლ რუს ხალხთან თავისი მხურვალე თანამშრომლობით აღნიშნოს „ომში რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის კვირეული".

მალტის გარნიზონის მისალმება სევასტოპოლის დამცველებისადმი

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მალტის გუბერნატორმა ლორდმა გორტმა სევასტოპოლის დამცველებს მიმართა წერილით, რომელშიც გამოსთქვამს მალტის გარნიზონისა და სამოქალაქო მოსახლეობის აღტაცებას „სევასტოპოლის შესანიშნავი დაცვის" გამო. „წინააღმდეგობა, რომელსაც ქალაქის დამცველნი უწევენ მტერს,—ნათქვამია წერილში,—ახალი დიდებით ამკობს სევასტოპოლის ისტორიულ სახელს".

ჰიტლერელ ჯალათ ჰაიდრიხზე „თავდამსხმელთა" შეპყრობის ინსცენირება

ჟენევა, 19 ივნისი (საკდესი). პრაღის რადიო იუწყება, რომ პოლიციამ აღმოაჩინა ის პირნი, რომელნიც თავს დაესხნენ ჰაიდრიხს. ისინი, ვითომდა, პრაღის ერთ-ერთ ეკლესიაში იმალებოდნენ. „თავდასხმის" მომწყობნი ადგილზევე დახვრიტეს. ოფიციალური ცნობის თანახმად, „თავდასხმის მომწყობნი" ინგლისის თვითმფრინავებმა გადმოიყვანეს ჩეხოსლოვაკიაში.

აქ ფიქრობენ, რომ მიუხედავად ყოველგვარი საშუალების გამოყენებისა, უმაგალითო სისხლიანი ტერორისა და დიდი ჯილდოს დაპირებისა, ჰიტლერელებმა ვერ გამონახეს გამცემლები ჩეხ ხალხში, რომელიც ერთსულოვნად იწონებს ჰიტლერელი ჯალათის მკვლელ პატრიოტთა ვაჟკაცობას. რაკი იმედი დაჰკარგეს, რომ თავდამსხმელთა რაიმე კვალს მიაგნებდნენ, ჰიტლერელებმა „დამნაშავეთა შეპყრობის" ინსცენირება მოაწყეს და წინდაწინ დახვრიტეს „შეპყრობილნი", რათა თავიდან აეცილებინათ სასამართლო პროცესის მოწყობის აუცილებლობა.

ლავალი მონებად ჰყიდის ფრანგ მუშებს

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). ბიულეტენი „ფორეინ კორესპონდენსი" იუწყება, რომ ამას წინათ ლავალმა გადაწყვეტილება მიიღო იძულებით გაგზავნოს გერმანიაში სამუშაოდ 350 ათასი ფრანგი მუშა, უმთავრესად ფეიქრები და მელითონეები. ლავალი თავისი ახალი გამცემლობის გამართლებას ფრანგი ხალხის წინაშე იმით ცდილობდა, რომ ჰიტლერი დაგვემუქრა მხარს დავუჭერ იტალიის პრეტენზიებს საფრანგეთის ტერიტორიაზე, უკეთუ მუშების აღნიშნულ რაოდენობას არ მომცემთო. მაგრამ ლავალის ბრძანებით დაწყებული კამპანია გერმანიაში გასაგზავნი მუშების „შეგროვებისა", მუქარისა და უსასტიკესი რეპრესიების მიუხედავად, იფუშება.

მასობრივად სიკვდილით დასჯა გერმანიაში

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" გადმოგვცემს, გერმანიაში მასობრივად სჯიან სიკვდილით „არასაიმედო" პირთ, რომლებსაც გერმანიის ცნობებში „კომუნისტებს" უწოდებენ. როგორც სტოკჰოლმში ფიქრობენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ გერმანიაში ძლიერდება ოპოზიცია ჰიტლერული რეჟიმის წინააღმდეგ. ამას წინათ ჰიტლერელებმა გამოაცხადეს, რომ ბერლინის გარეუბანში — გროსლიხტერფელდში სიკვდილით დასაჯეს 258 კაცი, რომლებიც, როგორც გერმანიის ცნობა ამტკიცებდა, ბერლინში ანტისაბჭოთა გამოფენაზე ბომბის აფეთქებას ამზადებდნენ. აპრილში მანჰაიმში სიკვდილით დასაჯეს 15 კაცი.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 19 ივნისს ღამით ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ძლიერ დააზიანეს მოწინააღმდეგის 3 ტრალერი ბელგიის სანაპიროს მახლობლად და მოსპეს მტრის 4 ავიაგამანადგურებელი.

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ინგლისის თვითმფრინავებმა დაბომბეს შონის საქონლის სადგური და რკინიგზის კვანძი პარიზ-კამბრეს ხაზზე.

ნგრევა ემდენში

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ემდენში ინგლისის მზვერავი თვითმფრინავების მიერ გადაღებული ფოტოსურათები ცხადჰყოფენ, რომ ინგლისის ბომბდამშენებმა დიდი ნგრევა გამოიწვიეს ქალაქსა და ნავსადგურში. მნიშვნელოვნად დაზიანებულია გემსაშენები, სადაც წყალქვეშა ნავებს აშენებენ. ძლიერ დანგრეულია სამრეწველო საწარმოები.

გერმანიის წყალქვეშა ნავები ბაზებად იყენებენ ესპანეთის გემებს

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). პრესის ცნობებით, ღერძის სახელმწიფოთა წყალქვეშა ნავები ესპანეთის გემებს იყენებენ ბაზებად ატლანტის ოკეანეში. შესაძლოა, რომ ღერძის სახელმწიფოთა გემები ესპანეთის ბაირაღით მოქმედებენ, და ზოგიერთი მათგანი საწვავსა და სურსათს აწვდის ამ სახელმწიფოთა რეიდერებს.

მოსწავლეები ებმებიან სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში

სვერდლოვსკის ოლქის ირბიტის რაიონის, რიაზანის ოლქის კუტუკოვის საშუალო სკოლისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკის ქალაქ ჯამბულის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოწოდებამ—საბრძოლო წესით გააჩაღონ სრულიად-საკავშირო შეჯიბრება მინდვრის სამუშაოებში უკეთესი მონაწილეობისათვის—მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ახალგაზრდობასა და პედაგოგებში. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომმა, სსრ კავშირის მიწსახკომმა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატმა. მათ დააწესეს საშუალო და არასრული საშუალო სკოლების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობები. შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება ის სკოლა, რომელიც მიაღწევს კოლმეურნეობაში ყოველ მოსწავლეზე გამომუშავებული შრომადღეების ყველაზე მეტ რაოდენობას და საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე თითოეულ მოსწავლეზე ნორმის ყველაზე მეტ გამომუშავებას ისე, რომ სამუშაო კარგი ხარისხით იქნას შესრულებული, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას შრომის მაღალი დისციპლინა, დღის რეჟიმის მტკიცედ დაცვა, სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე საერთო საცხოვრებლებში. მოწინავე სკოლა სოფლად მასობრივ-პოლიტიკურ, კულტურული და სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის აქტიური მონაწილეა. ეს შეჯიბრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

გამარჯვებული სკოლა მიიღებს საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მიწსახკომისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის გარდამავალ წითელ დროშას. სკოლებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: კოლმეურნეობებში—პირველი—10, მეორე—10, მესამე—15; საბჭოთა მეურნეობებში—პირველი—3, მეორე—4, მესამე—5.

მინდვრის სამუშაოებში მოსწავლეთა რაზმების საუკეთესო ხელმძღვანელი მასწავლებლები დაჯილდოებულ იქნებიან საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განსახკომის სიგელებითა და ფულადი პრემიებით.

საშუალო და არასრული საშუალო სკოლების საუკეთესო მოსწავლეები, რომლებიც ყველაზე მეტ გამომუშავებას მოგვცემენ, საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელებს მიიღებენ. (საკდესი).

სსრ კავშირის ხალხები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას

ვორონეჟიდან, სტალინსკიდან, ივანოვოდან, კუიბიშევიდან, სარატოვიდან, ყაზანიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ ქარხნებში, დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში, კოლმეურნეობებში დიდი აღფრთოვანებით იმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ისტორიული სხდომისადმი მიძღვნილი მიტინგები.

მშრომელები ყველგან მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას და ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

კუზნეცკის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროში გამართულ მიტინგზე ცვლის უფროსმა ამხ. პასკომ სთქვა:

— სულით და გულით მივესალმები სამი დიდი დემოკრატიული სახელმწიფოს საბრძოლო მეგობრობის განმტკიცებას. მალე ევროპაში მეორე ფრონტი გაიხსნება პირსისხლიანი ჰიტლერელები მთელი ძალით იგრძნობენ თავიანთ თავზე სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი არმიების დარტყმას. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება გადამწყვეტი ნაბიჯია გამარჯვების გზაზე. ეს გამარჯვება რომ უფრო მალე მოვიდეს, ჩვენ, ზურგის მებრძოლებმა ჭარბად უნდა მივცეთ წითელ არმიას და კიდევაც მივცემთ უღრესად სრულყოფილ იარაღს.

— დაუცხრომლად ვჭედოთ გამარჯვება!—განაცხადეს თავიანთ სიტყვებში უფროსმა ოსტატმა ამხ. ლოტკოვმა, ტექნოლოგმა ამხ. მიხაილენკომ და ლენინის ორდენოსან ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მიტინგის ყველა მონაწილემ.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშებმა სტახანოვური შრომით განამტკიცეს თავიანთი სიტყვა. ცვლის დავალება 600 პროცენტით შეასრულა შემდუღებელმა ამხ. ფომინმა, 2,5-მდე ნორმა შეასრულა ამხ. ვორობიოვის ბრიგადამ. მებრძოლურად მუშაობდა მთელი ცვლა.

— მხურვალედ მივესალმებით უმაღლესი საბჭოს დადგენილებას, — განაცხადა ალტაის მხარის ბარნაულის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მიტინგზე კოლმეურნე ამხ. სოკოლოვმა. საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხელშეკრულება ცხოვლად ადასტურებს სტალინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობა ახლა განსაკუთრებით განმტკიცდა და გაძლიერდა. (საკდესი).

საბჭოთა პატრიოტების მიტინგი მტრის ზურგში

მოქმედი არმია, 20 ივნისი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). შორს, ფრონტის ხაზს გადაღმა, ორიოლის ოლქის სოფელ ს-ში, რომელიც პარტიზანებმა ამას წინათ გასწმინდეს ფაშისტებისაგან, მიტინგი გაიმართა. მიტინგზე შეიკრიბა სოფელ ს-ს და მეზობელი დასახლებული პუნქტების 500-მდე მცხოვრები. მიტინგის მონაწილენი სულგანაბულნი უსმენდნენ ცნობას ინგლისსა და ამერიკაში ამხ. მოლოტოვის ყოფნის შესახებ და მის მიერ იქ ხელმოწერილი დოკუმენტების შინაარსს.

საბჭოთა პატრიოტები მხურვალედ მიესალმნენ ჩვენი მთავრობის სტალინურ საგარეო პოლიტიკას და მსოფლიოს სამი დიდი სახელმწიფოს საბრძოლო თანამეგობრობას.

— ჩვენ პირადად გამოვცადეთ ფაშისტი ოკუპანტების სისხლიანი რეჟიმის ყველა საშინელება, — ამბობდნენ შეკრებილნი,—და ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ ჰიტლერსა და მის ბანდას გამანადგურებელ დარტყმებს აგემებენ ძლიერი არმიები ორი ფრონტიდან. ამ დარტყმებით ჰიტლერელ მძარცველთა არმია განადგურებულ იქნება.

მტრის ზურგში დროებით მყოფმა საბჭოთა ადამიანებმა ერთმანეთს შეჰფიცეს ყოველი საშუალებით დაეხმარონ წითელ არმიას გერმანელი ოკუპანტების განადგურებაში.

ი. ლაპონოგოვი

მივცემთ ფრონტს ყველაფერს, რაც საჭიროა ფაშიზმის გასანადგურებლად

უდიდესი ყურადღებით და კმაყოფილებით მოისმინეს თბილისის თამბაქოს ფაბრიკის ორივე ცვლის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა საინფორმაციო ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის შესახებ და ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება ამ სხდომაზე. საინფორმაციო ცნობის და ამხ. მოლოტოვის მოხსენების ტექსტი მიტინგს გააცნო სტალინის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ.

მიტინგზე სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებას პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საამქროს უფროსმა ამხ. მურადოვმა, წუნმდებელმა ამხ. ბოგდანოვამ, I კორპუსის ბრიგადირმა ამხ. აპრესოვმა და წუნმდებელმა ნინა ხოჟაკოვამ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ეს ხელშეკრულება, რომელიც დააჩქარებს ჰიტლერის გერმანიის განადგურებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებას, თითოეულ ჩვენგანს ავალებს იმუშაოს კიდევ უფრო თავდადებულად და ამით დაეხმაროს ფრონტს, გმირ წითელ არმიას მტრის მოსპობაში.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:—სიტყვას ვაძლევთ ჩვენს მთავრობას და ჩვენს დიდ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს, რომ უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებთ, რათა ყოველმხრივი დახმარება გავუწიოთ მშობლიურ წითელ არმიას ვერაგი მტრის განადგურებაში 1942 წელს.

ერთსულოვნად იწონებენ ხელშეკრულების რატიფიკაციას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, მუშა-მოსამსახურეთა და სტუდენტთა მიტინგი ერთსულოვანი მოწონებით შეეგება საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოს ხელშეკრულების რატიფიკაციას და ამ საკითხზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას. მოხსენების ტექსტი მიტინგს წაუკითხა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. კ. ერისთავმა.

სიტყვით გამოსული ამხანაგები—პროფესორი ერ. თოდაძე, ამხ. ო. ლომსაძე, ნ. მესხი, ვ. დოლიძე მიესალმნენ ორი დიდი სახელმწიფოს ხელშეკრულების რატიფიკაციას და განაცხადეს, რომ სამ დიდ სახელმწიფოს შორის საბრძოლო თანამშრომლობა უზრუნველჰყოფს ჰიტლერელი კაციჭამიების 1942 წელში დამარცხებას. მიტინგზე გამოსული ამხანაგები პირობას იძლეოდნენ, რომ ამ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენის საპასუხოდ კიდევ უფრო მეტი თავდადებით იმუშავებენ სამშობლოს სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად, ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ვკითხულობთ, რომ სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურენი და სტუდენტები აღფრთოვანებით მიესალმებიან ხელშეკრულების რატიფიკაციას და პირობას აძლევენ სამშობლოს თავდადებულად იმუშაონ, დაეხმარონ გმირ წითელ არმიას გერმანელი ოკუპანტების განადგურების საქმეში.

დ. დუშუაშვილი

დაიწყო თივის აღება

ხაშური, 20 ივნისი (საქდესი). ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო თივის აღება. აღებულია პირველი ათეული ჰექტარები. გომის კოლმეურნეობაში გათიბულია 6 ჰექტარი მრავალწლოვანი ბალახი. ქვიშხეთისაში — 4.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში პირველად ჩატარდება სამჯერ თიბვა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას სახელობის რაიკომის პლენუმი

22 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის საქალაქო აღმასკომის წითელ დარბაზში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი: **„სახალხო კომისარიატების პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ".** (მომხსენებელი — რაიკომის მდივანი ამხ. **გ. ლუარსაბოვი**).

ლექციები და მოხსენებები

22 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების პარკში (საკონცერტო ესტრადა) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე, თემა:

„სამამულო ომის მიმდინარე მომენტი".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში და პარკის სალაროში.

23 ივნისს, საღამოს 9 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში (მარის ქ. № 1) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა:

„სამამულო ომის ახალი პერიოდი — საბჭოთა მიწა-წყლის ჰიტლერული სიბილწისაგან განთავისუფლების პერიოდი".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 11).

სამამულო ომი და თეატრი

22 ივნისს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო აწყობს თეატრალური კრიტიკოსის ამხ. **ა. ფევრალსკის** მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„სამამულო ომი და თეატრი"** (თეატრი ფრონტზე, მოსკოვის და თბილისის თეატრები).

ბილეთების შეძენა შეიძლება საკონცერტო დარბაზის სალაროში.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538156, გაცემული ალექსანდრა ლაზარეს-ასულ **რაბინოვიჩის** სახელზე, და პარტბილეთი № 1538991, გაცემული ნიკოლოზ პავლეს-ძე **მიცკევიჩის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის სახ. რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1540456, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მიერ ალექსანდრა არტემის-ასულ **ფრუიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1682717, გაცემული ტატიანა ტერენტის-ასულ **კვეტენაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებსა და დასასვენებელ პარკებში

სახოპერა — 21 ივნისს — „ვერტერი", 23 ივნისს — „ბოშათა ბარონი". **მარჯანიშვილის სახელობის** — 21 და 23 ივნისს — „მეფე ერეკლე", 24 ივნისს — „გრიგალი". **მუსიკალური კომედიის** — 21 და 23 ივნისს — „ხილვა", 24 ივნისს — „აყვავებული ბაღი". **სანკულტურის** — 21 ივნისს — „ხალხის რჩეული". **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — 21 ივნისს — საქ. ხელოვნების მუშაკთა კონცერტი ფრონტის ბრიგადების მონაწილეობით. ცეკვა, ჯაზი, საჰაერო ატრაქციონი „მკვდარი მარყუჟი" და სხვ.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, დამკვრელი (საზაფხულო) და კომინტერნი — „მაშენკა", დამკვრელი (ზამთრის) — „მტკიცე ხასიათის ქალიშვილი", კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის) — „სიმღერა სიყვარულზე", სპარტაკი — „საბრძოლო კინოკრებული № 8", ლუქსემბურგის სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 7", 26 კომ. სახ. — „დარიკო".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქ. სახელმწიფო ფილარმონია
საკონსერვატორიასთან არსებული დიდი საკონცერტო დარბაზი

21 ივნისს

სახელმწიფო ფილარმონიის
ქართული ჯაზი

სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე

სოლისტები

ნ. ხარაძე (რესპ. დამსახ. არტ.), ბ. კრავეიშვილი, კ. კვანტალიანი, ალ. გომელაური, ნ. რამიშვილი, ი. ხუხიშვილი (საკავშირო კონკურსის ლაურეატი), მ. აბულაძე, მ. შუბაშუკელი, კ. ხერხეულიძე.

ცეკვების დამდგმელნი: ვ. ჭაბუკიანი (სტალინის პრემიის ლაურეატი), ჯ. ბაგრატიონი, ი. ხუხიშვილი, დ. მაჭავარიანი, ტექსტის ავტორი მ. ჯაფარიძე, მხატვარი ხ. ვირსალაძე. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება სალაროში დილის 11-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 10 საათამდე.

„ტბილგუეტრანსპორტის" გამგეობა იუწყება
ხუხანა (ნინო) დომენტის-ასულ ტრაპაიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 21 და 22/VI, 8 ს. გამოსვენება 23/VI, 6 ს, ნაეთლუღის ქ. № 13. 775

საქ. კოოპინკავშირი იუწყება, რომ 21/VI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია შოთა დვალის მამის
იოსებ თადეოზის-ძე დვალის
სამოქ. პანაშვიდი. 774

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5949